პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორგანო ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ШАБათი
14 ივნისი
1941 წ.
№ 138 (6143)
ფასი 15 კაპ.

5377

საკოლმეურნეო მეცხოველეობას — მყარი საკვები ბაზა

პარტია და მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამ მზრუნველობის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. ამ შესანიშნავ დადგენილებაში მოცემულია საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღორძინების დიადი პროგრამა.

ანხორციელებენ რა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 ივლისის დადგენილებას კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა სერიოზული წარმატება მოიპოვეს მეცხოველეობის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პირუტყვის სულადობის ზრდა. 1939 წ. 1 იანვრიდან 1941 წ. 1 იანვრამდე საქართველოს კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 29,2 პროცენტით გადიდდა, ცხვრისა და თხის—51,2-ით, ღორისა—42,1-ით. ამავე ხნის განმავლობაში მეცხოველეობის ფერმების რიცხვი 2.978-დან 9.024 ფერმამდე გაიზარდა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრგან პირუტყვის საკვები ბაზის მხრივ ამკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ამის შედეგია მთელ რიგ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობა. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გასადიდებლად. ჩამორჩენა საკვები ბაზის საქმეში შეუწყნარებელია. კოლმეურნეობების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ყოველმხრივ იზრუნონ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. პირუტყვი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ზაფხულში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით, — ამას მოითხოვს მეცხოველეობის შემდგომი აღორძინების იმპერატივი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით 1941 წლიდან კოლმეურნეობებისათვის დაწესებულია საკვების წლიური დაგრავების ოდენობა საშუალოდ ერთ სულ საკოლეზზე, რომელიც საკოლმეურნეო ფერმებს ჰყავთ. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა უნდა განვახორციელოთ. ამ მხრივ დიდი პასუხისგებლობა აკისრიათ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს. დადგენილებაში ნათქვამია: „დაეკისროთ პასუხისმგებლობა დაწესებული ნორმების შესაბამისად ყველა სახის საკვების აღების გეგმის დროულად შესრულებისათვის კოლმეურნეობებში პერსონალურად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, რაიონებში კი — რაიაღასკომების თავმჯდომარეებს“.

საქართველოში საკვები ბაზის განვითარების დიდი შესაძლებლობა არსებობს. ეს ნათლად გამოირკვა 12 ივნისს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში მოწვეულ რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირზე კოლმეურნეობები მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების საკითხზე. ამ თათბირზე აღრეთვე აღინიშნა, რომ ზოგან მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საძოვრების გაუმჯობესების საქმეს. ბოგდანოვკის, ზეთელწყაროს, საგარეჯოს, წალკის და ბორჯომის რაიონებში გასულ წლებში დიდძალი ფართობები გუთნიბავი რჩებოდა. გორის, თბილისის, თეთრწყაროს, თიანეთის და ხობის რაიონებში წლითიწლამდე ვერ ასრულებენ საკვების დასილოსების გეგმას.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამეწარმეო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სასილოსე საკვების, საკვები ძირხვენა მცენარეებისა და ბაღეული კულტურების, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების მოსავლიანობის გადიდებას, სათიბებისა და საძოვრების გუთნაცვლებას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სილოსის ჩადების გეგმის შესრულებას არა მარტო მთლიანად რაიონში, არამედ თვითეულ კოლმეურნეობაში. გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ დასილოსების ხარისხი. ჩვენში საკვები ძირხვენა მეცნარეებისა და ბაღეული კულტურების განვითარების დიდი შესაძლებლობა არსებობს და ეს შესაძლებლობა ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

ერთიანელ და სამუდამდ ბოლო უნდა მოვიოთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც მაგალითად, გურჯაანის, ბაშკიჩეთის, წალკის და თბილისის რაიონებში წლითიწლამდი არ სრულდება განსაკუთრებით მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა. საკვები ბალახების სათესლეები საკავკასიო მდგომარეობაში უნდა მოვაყენოთ და არ დაეფშვათ მათი დახაგვიანება სარეველა მცენარეებით.

დუშეთის, ყაზბეგის და სხვა რაიონებში საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საძოვრების გაუმჯობესებას. სათიბებისა და საძოვრების შემდგომ გაუჯაფესებას მაგრად უნდა მოვკიდოთ ხელი. ადგილობრივი საბჭოთა და სამეწარმეო-ფერმა ორგანოების ვალია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საძოვრების კეთილმოწყობის საქმეს. ფდელობისა და საძოვრების გაუპირველესის ლაკიდაციისათვის კოლმეურნეობებმა ყველა ბუნებრივი სათიბი და საძოვარი უნდა მიამაგრონ მეძროვრეობის ბრიგადებს ან რგოლებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაპირუტყვის მოვლის გაუმჯობესებას, მაგრამ ზოგან ამას არ ითვალისწინებენ. მაგალითად, ყვარლის, წითელწყაროს და სიღნაღის რაიონებში მუშა-პირუტყვის მოვლას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. იქ კოლმეურნეობათა გაძღომები არ ზრუნავენ მოზარდეულის გამოზრდაზე. ამიერიდან შეადვინა რომ აღარ უნდა განმეორდეს.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ პირუტყვის მოკლა, მისი ჯ�-შინაობა მეტიზების გზით, პირუტყვის საკვები საკმაო რაოდენობით უნდა მივაწოდოთ. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას.

საქართველოში უკვე გაჩაღდა თოვის მოსავლის აღება. ახლა ამიცანა ის არის, რომ თოვის მოსავალი აკიღოთ უმოკლეს ვადაში, უდანაკარგოდ.

დამკვრელები ტომპებით უნდა გავაჩაღოთ სასილოსე კოშკების და პირუტყვის ბოსლების შშენებლობა. უნდა მივალწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობათა პირუტყვი უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადებრივი ბოსლებით. ამას მაშინ მივაღწევთ, თუ კოლმეურნეობათა გაგგეობები ბოსლების შენებლობის საქმეში ფართოდ გამოიყენებენ ადგილობრივ საშალებებსა და რესურსებს.

ნედლეულის შეგროვებისა და დასილოსების გეგმების გადამტებით შესრულებისათვის, სასილოსე და საკვები კულტურების მოსავლიანობის გეგმების გადამტებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების დაწესება წარმოადგენს მეცხოველეობის საკვები ბაზის ფართოდ განვითარების უდიდეს სტიმულს. ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების და სამეწარმეო ორგანოების მოვალეობაა უზრუნველჰყონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძვლიანი გაკეთება კოლმეურნეთა ფართო მასებისათვის.

საქართველოს კოლმეურნეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. კოლმეურნეთა თავმჯდომარეების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამეწარმეო ორგანოების წმინდათაწმინდა მოვალეობაა მთელი ბოლშევიკური შეპყრობით განაზორციელონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება და უზრუნველჰყონ საზოგადებრივი მეცხოველეობის შემდგომი ძლევამოსილება.

საგაზაფხულო კულტურების თესვა

საქ. მიწსახკომის ცნობებით საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 10 ივნისისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო 546.949 ჰექტარზე, გეგმის 99 პროცენტი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 86,4 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკას — 96,7, აბაშის რაიონს—97,7, ცხაკაიას — 96,5, ხობის—91,9, ჩხოროწყუს — 98,4, ლანჩხუთის — 89,9, ჩოხატაურის —96,3, ფოთის—89,2, სამტრედიის —97,6, წულეკიძის — 98,3, ზესტაფონის — 99,7, ქიათურის — 99,2, ზემო-სვანეთის—97, ბოგდანოვკის—98,3, წალკის—96,4, თიანეთის — 92,8, ყაზბეგის — 46,7, ყარაიის—88,6, ბაშკიჩეთის — 98 პროცენტით.

10 ივნისისათვის საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და 38 რაიონს.

ამავე რიცხვისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესვის გეგმა შესრულებული იყო 100,5 პროცენტით, ბოსტნეული კულტურების — 93,8 პროცენტით, კარტოფილის საგაზაფხულო დარგვის გეგმა—98,8 პროცენტით, ბრავალწლიანი ბალახები დათესილი იყო 7.861 ჰექტარზე, გეგმის 80,2 პროცენტი, ერთწლიანი ბალახები კი—25.971 ჰექტარზე, ანუ გეგმის 85,7 პროცენტი. საკვები ძირხვენა მცენარეების და სასილოსე კულტურების თესვის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 72 პროცენტით.

დაიწყო მოგებათა განაღდება

პეტროზავოდსკი, 12 ივნისი (საკადესი). დაიწყო მესამე ხუთწლედის (მესამე წლის გამოშვების) სესხის პირველი ტირაჟის მოგებათა განაღდება. პირველ დღეს პეტროზავოდსკში განაღდებულია 71.430 მანეთის 628 მოგება.

ახალ აღშენებებზე

მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ხალხთა ენისა და დამწერლობის ინსტიტუტმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამეცნიერო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უდიდესი კულტურული მნიშვნელობის მუშაობა დაამთავრეს. ჩვენი ქვეყნის დასაწყობით 50 ხალმა მიიღო ახალი ალფაბეტები, რომლებიც შედგენილია რუსული გრაფიკის საფუძველზე. საბჭოთა კულტურას და მეცნიერებას ეზიარნენ ის ხალხები, რომლებსაც რევოლუციამდე თავისი დამწერლობა არა ჰქონიათ. ახლა ათასეული ცალობით გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები, მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურის ნაწარმოებნი ბაკასური, ოროტული, ყუმიკური, ავარიული და სხვა ენებზე.

სსრ კავშირის ხალხთა ენისა და დამწერლობის ინსტიტუტი 30-ზე მეტ გრამატიკას უშვებს. პირველად გამოიცა იაკუტური, ყუმიკური, ყალმუხური, ოიროტული, ადიღეური, ჩაჩნური და ნოღაური ენების მეცნიერული გრამატიკები. დასაბეჭდად გადაცემულია ოსური, ბურიატული, ბიშური, ბაშკირული და შორული ენების გრამატიკები. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით სამეულო სკოლისათვის, ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს. ეს ლექსიკონები ძირითადი მეცნიერული ტერმინების მოკლე განმარტებას იძლევიან. უკვე შემუშავებულია 40-ზე მეტი ასეთი ლექსიკონი.

ამჟამად ენისა და დამწერლობის ინსტიტუტი ლექსიკონების სერიის შედგენაზე მუშაობს. წელს მომზადებულ იქნება რუსულ-ყუმიკური, რუსულ-ბაშკირული და რუსულ-ადიღეური ლექსიკონები.

ბევრ რესპუბლიკაში მიღწეულ იქნება სპეციალური სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც ენისა და ლიტერატურის პრობლემების მიეძღვნება. ასეთი კონფერენციი უკვე გაიმართა კიბინოეთში. მან განიხილა მოლდავური ლიტერატურული ენის განვითარების საკითხები. მოლდავეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი შეუდგა მოლდავური ენის მეცნიერულ გრამატიკის გამოქვეყნებას. ეს ფუნდამენტალური ნაშრომი ასახავს ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ ნორმებს. ეს ნაშრომი ეფუძნება

აღსანიშნავი ჩამორჩენილი საწარმო!

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომბინატმა 12 ივნისს მოიწვია ქალაქის იმ საწარმოთა დირექტორების, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელთაც ვერ შეასრულეს განვლილი ხუთი თვის გეგმები, და თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია აგრეთვე ქალაქის პარტკომიტების მდივნები და სამრეწველო სახალხო კომისარიატების პასუხისმგებელი მოშაკები.

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. გ. გოჩაშვილმა, რომელმაც დამსწრეთ განუმარტა თათბირის მოწვევის მიზანი, სახელდობრ — რომ ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებს აეხსნათ ჩამორჩენის მიზეზები და ეთქვათ, რა ზომებს იღებენ ისინი არსებული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მსუბუქი და კვეთის მრეწველობის დარგში ამხ. ბ. ელენანი, რომელმაც ფართო ნაფორმაცია გააკთა თბილისის სამრეწველო საწარმოთა განვლილი 5 თვის შუამავის შედეგებზე და დაწვრილებით შეეხო იმ საწარმოთა მუშაობას, რომელთაც 5 თვის გეგმება ვერ შეასრულეს.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მუშაობის წარმართვით მიღწეულია არც თუ უმნიშვნელო წარმატებები — საერთო პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით, კერძოდ მაისისა — 102 პროცენტით. მთელ რიგ საწარმოებს გეგმები გადაჭარბებით აქვთ შესრულებული, მაგალითად, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს — 112,1 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისას — 105,4 პროცენტით, საფიქრო მრეწველობისას — 103, სტყეო მრეწველობისას — 117; მაგრამ არიან ისეთნაირ, რომლებიც ჩამორჩნენ. ასეთებს ეკუთვნიან: მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, რომელთაც 5 თვის გეგმა 94,7 პროცენტით შეასრულეს, ხორცისა — 86,1 და საკვებრო სამრეწველო სახკომატვლისა — 99,5. ჩამორჩენენ აგრეთვე თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმონი, რომელთაც გეგმა 94,1 პროცენტით შეასრულეს.

ჩამორჩენილ საწარმოთა შორის არიან: 26 კომისრის სახელობის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, № 1 და № 2 სამკერვალო ფაბრიკები, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა, № 1 ტყავის ქარხანა, ბერიოს სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, „ცენტროლიტი“, შამპანიური ღვინოების ქარხანა (ავჭალაში), ქიმკომბინატი, მაცივარკომბინატი და სხვ., სულ 35 საწარმო.

ამ საწარმოთა მუშაობის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩამორჩენა უწინარეს ყოვლისა საქმის ცუდი ორგანიზაციით, საწარმოსადმი ჯერ კიდევ სუსტი ხელმძღვანელობით აიხსნება.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი მსხვილი საწარმო, როგორიც არის 26 კომისრის სახელობის ქარხანა. მან პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა შეასრულა 84,5, ხოლო სასამონლო პროდუქციის გამოშვებისა — 80,1 პროცენტით. თათბირზე სიტყვით გამოსული ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. კრაინსკი შეეცადა ჩამორჩენა „ობიექტური მიზეზებით“ აეხსნა და ასეთი „მოტივაც“ კი მოიყვანა — გეგმებს ვერ ვასრულებთ, რადგან ქარხნის დირექტორი და ორი კვალიფიციური ოსტატი მოსკოვში იმყოფებიანო (!). იმაზე კი თითქმის არაფერი სთქვა, რომ ქარხანაში ჯერ კიდევ საგრძნობი მუშებისა და დაზგების მოცდენა, რომ 320 ათასი მანეთის გაუსაღებელი ფაბ. პროდუქცია უწყვეტად და გადაჭარბულ ზომებს არ იღებენ მის სარეალიზაციოდ, რომ ჯერ კიდევ სუსტია შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, დამყარებული არ არის ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგი და სხვ.

იგივე შეიძლება ითქვას № 1 სამკერვალო ფაბრიკაზე, რომელმაც საერთო პროდუქციის 5 თვის გეგმა 90,2 პროც. შეასრულა. ფაბრიკაში არ იცვენენ ასორტიმენტს, აკლიათ მუშა-ხელი, დიდძალი საქონელი აქვთ ჩაწოლილი, არ იცავენ გრაფიკს და სხვ.

ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ქართველიშვილმა ამ მომენტებს რატომღაც გვერდი აუარა და ჩამორჩენის ახსნას ისიც „ობიექტური მიზეზებით“ შეეცადა.

სამეგ ობიექტური მიზეზები კი არ არის, არამედ სუსტი ხელმძღვანელობაა. საქმე ის არის, რომ ფაბრიკაში 224 კაცი ნორმას ვერ ასრულებს და ეს ნაკლებად ფიქრებთ ამხ. ქართველიშვილს და პარტბიუროს მდივანს ამხ. გოგრაძეს, რომელნიც უნდა ჩაუფიქრდნენ ამ გარემოებას და სათანადო დასკვნები გააკეთონ. საწარმოში მუშაობა ისე უნდა მოაწყონ, რომ გეგმები სრულიადდგეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით, გადაჭრით უნდა მოაგვარონ ტექნიკური პროცესი აგრეგატებზე და საამქროებში, დაკომპლექტონ მუშახელი. ეი რაზე მოუთითეს მათ.

ანდა ავიღოთ მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკა, რომელმაც ამ 5 თვის განმავლობაში 12 თასი მანეთის პროდუქცია დაკალო ქვეყანასს. ფაბრიკის დირექტორი ამხ. შექვანიშვილიც ამ სამარცხვინო გარეკვევას „ობიექტური მიზეზებსა“ ამბობენს. სინამდვილეში კი ასე როდია. იქ სერიოზული ნაკლოვანებებია სამეურნეო ხელმძღვანელობის მხრივ. მაგალითად, სტახანოვური სკოლების მოწყობა მთ მხოლოდ ახლა გაახსენდათ, მაშინ როდესაც კვალიფიციური მუშახელით არც თუ ისე ბრწყინავენ და საკმაოდ წუნდებული პროდუქციას უშვებენ.

ჩამორჩენას თავი დაადწიეს კიროვის დაზგათმშენებელმა ქარხანამ, „ელექტროლიტმა“ და ტრიკოტაჟკომბინატმა, რომელთა პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ XVIII პარტკონფერენციის მითითებათა საფუძველზე გარდაჭრა მუშაობა.

თათბირზე ზემოხსენებულ ამხანაგებს (კრაინსკი, ქართველიშვილი, მექვანიშვილი) გარდა სიტყვებით გამოვიდნენ: ქიმკომბინატის დირექტორი ამხ. გალუსტოვი, ბერიოს სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი ამხ. რობაქიძე, ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორი ამხ. კოჩლავაშვილი, № 1 ტყავის ქარხნის დირექტორი ამხ. ცატუროვი, ქარხანა „ცენტროლიტის“ პარტბიუროს მდივანი ამხ. კეკუა, სან. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ჩახუნაშვილი, კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორი ამხ. ორჯონიკიძე.

ამ ამხანაგების გამოსვლის ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ნაკლებ თვითკრიტიკულნი იყვნენ, რაზედაც სავსებით სამართლიანად მიუთითა თათბირის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვით გამოსულმა ამხ. გ. გოჩაშვილმა.

— საწარმოთა დირექტორების, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელების ვალია, — ამბობს ამხ. გოჩაშვილი, — დაირაზმონ თვითონ და დარაზმონ მასები საქმის უკეთ წასამართავად. ივნისი გადამწყვეტი თვეა ნახევარი წლის გეგმების შესრულებისათვის. ყველა შესაძლებლობა არსებობს, რომ მთავრობისა და პარტიის დავალებანი განეხორციელდეს შესრულებული. ეს შესაძლებლობანი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, მივაღწიოთ იმას, რომ თბილისში არ გვქონდეს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო.

მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი გაღიდებისათვის

ლანჩხუთი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებამ კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. იე. ჩხარტიშვილმა განაცხადა — საკვების ბაზის გაფართოებას ჩვენ დღემდე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. ფერმის პირუტყვს უმთავრესად თივით ვკვებავდით. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება გვავალებს მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ პირუტყვისათვის ნოყიერი საკვების დამზადებას. ჩვენ 20 ჰექტარზე დათესილი გვაქვს სასლილო სოია, საიდანაც საშუალოდ ჰექტარზე 125 ცენტნერ სოიას ვიღებთ. წელს უნდა ავიღოთ თვე არანაკლებ 5.000 ცენტნერისა. გადაწყვეტილი გვაქვს ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ავიგოთ 50 ტონის ტეკადობის სასილოსი კოშკი, აგრეთვე საკოლმეურნეო ფერმასთან გამოვყოთ 5 ჰექტარი ფართობი საკვები ბალახებისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებამ მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ უდიდესი სიხარული გამოიწვია აგრეთვე სოფ. ლენინის კოლმეურნეობის წევრებში. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. გოგიჩაიშვილმა განაცხადა, რომ კოლმეურნეობა იღებს ვალდებულებას დათესოს ბალახები 300 ჰექტარზე, აუშენოს ორი ახალი სასილოსე კოშკი, წელს აიღოს სულ ცოტა 3820 ცენტნერი ბუნებრივი თივა, ფერმის ახლოს გამოიყოს საკვები ბალახებისათვის 6 ჰექტარი ფართობი და სხვ.

დადგენილების სასასუხოო რაიონის კოლმეურნეობათა შორის გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება.

ვალ. მეძვაბიშვილი

დავაჩქაროთ ნინოწმინდის არხის მშენებლობა

საგარეჯოს რაიონის სოფ. ნინოწმინდის სარწყავი არხის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ამ არხით, რომლის სიგრძე 5 კილომეტრს არ აღემატებოდა, დღემდე მხოლოდ 600 ჰექტარი ფართობა ირწყვოდა; ახალი მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი არხის სიგრძე 20 კილომეტრს მიაღწევს. მისი საშუალებით მოირწყვება 2200 ჰექტარი მიწა, აქედან 1600 ჰექტარი ახალი ფართობი.

არხის მშენებლობაში მონაწილეობენ რაიონის 11 სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები. სამუშაოზე ყოველდღიურად გამოდის 300 კოლმეურნე. სოფ. პატარაქიულის კოლმეურნეობის სახელობის კოლმეურნეობიდან ალ. მარხვაშვილის ბრიგადა, რომელიც 11 კაცისაგან შესდგება, 45 კუბური მეტრი მიწის ნაცვლად ყოველდღიურად 72 კუბურ მეტრს იღებს. კარგად მუშაობს აგრეთვე სოფ. ჩაილურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც სტახანოველი გ. კირკოზაშვილი ხელმძღვანელობს.

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მიერ, რომელმაც ამასწინათ განიხილა არხის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი, გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნას ინჟინის შუა რიცხვებისათვის არხში წყლის გაშვება. მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მხრით საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება საფრთხეში აყენებს მშენებლობის ვადაზე დამთავრებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალი შრომის“ თავმჯდომარის თ. კოხტაშვილის და „კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“ თავმჯდომარის გ. ივანიშვილის შეუწყნარებელი უდარდელობა. ისინი წესიერად არ ასრულებენ დავალებებს მშენებლობაზე მუშა-ხელის გამოყვანის შესახებ.

ნინოწმინდის არხით წელსვე უნდა მოირწყოს რაიონის კოლმეურნეობათა ნარგავ-ნათესები. ეს გარემობა ავალებს ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებს მიიღონ ყოველგვარი ზომები დაწესებულ ვადებში არხის მშენებლობის დამთავრებისათვის.

ალ. ზაქარიაშვილი

საგარეჯოს რაიონულ გაზ. „სტალინური სიტყვის“ რედაქტორი.

თიქორ-ინგირის მასივის სამუშაოები

ზუგდიდი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელთა ფართო მოსწავლეობით დაიწყო თიქორ-ინგირის მასივის სამუშაოები, რაც რაიონს მისცემს 3.000 ჰექტარ ფართობს ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად, ხელს შეუწყობს მალარიით დაავადების შემცირებას და სხვ.

აჭკანდა აღნიშნული მასივის სამუშაოებზე გამოსულია 405 კოლმეურნე. უკვე ამოძირკულია ხეები 20,5 ჰექტარზე, გაწმენდილია ბუჩქნარისაგან 13 ჰექტარი და გაკაფულია ტყე 14 ჰექტარზე.

მასივის სამუშაოებზე ფართოდ არის გამოყენებული ფერგანელთა მუშაობის მეთოდი. ამ მხრივ ზუგდიდის კოლმეურნეებმა მდიდარი გამოცდილება მიიღეს ინგირის არხის მშენებლობაზე.

სოფ. ორულეს კოლმეურნეობა „ახალი შარადან“ აქ მუშაობს 140 კაცი. ისინი ყოველდღიურ ნორმას 150 პროცენტით ასრულებენ. კოლმეურნეები ი. პერტაია, ი. ჩიქავა, ა. ნანავა დღიურ ნორმებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

სოფ. ორსანტიის ორფანნანის კოლმეურნეობის წევრმა ი. გუნჯუაძემ დღიური ნორმა დიდი გადამეტებით შეასრულა. ასევე მუშაობენ ს. ხაზალია, ა. თორდია, ა. ადამია და სხვ.

თიქორ-ინგირის მასივის პირველი რიგის სამუშაო უკვე შეასრულეს სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობისა და სოფ. დარჩელის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებმა. ასევე კარგად მუშაობენ სოფელ ჭამგორის კიროვის სახელობის, სოფელ კახათის მარქსის და სოფ. კოკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მიერ, რომ ამ დღეებში გაანიხილა თიქორ-ინგირის მასივის სამუშაოთა მიმდინარეობა და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის. სამუშაოთა უფროსად გაგზავნილ იქნა ამხ. სულთანბეიძე, ხოლო მის მოადგილედ პოლიტნაწილში — საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ცანავა. სამუშაო უბნებზე მოეწყო სასადილო და საავჭრო წერტილი.

15 ივნისს აღნიშნულ სამუშაოზე 4.000 კოლმეურნე იმუშავებს.

აკ. ძვარცხავა

ბურჯაანის *რაიონი. მეტ.-ის დირექტორი ა. დავითაშვილი და აგრონომი დ. ბაკურაძე მოსავლის აღების წინ კოლმეურნეობა „წითელ უბანში“ ამოწმებენ, თუ რამდენად შემოსულია ჭერი.*

ფოტო ი. ტორისა (საქდისის ფოტოტრონიკა).

საკრებულის ცნობა

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ინგილოს ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ერიანი ლონდონს ჩავდიოდა, განსაკუთრებით კი მისი ჩასვლის შემდეგ, იხვლისის და საერთოდ უცხოეთის პრესაში იწყებ ხმების გავრცელება „სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ომის მოახლოებების“ შესახებ. ამ ხმების მიხედვით: 1) გერმანიამ ვითომდა წაუყენია სსრ კავშირს ტერიტორიული და ეკონომიური ხასიათის პრეტენზიები და ამჟამად მიმდინარეობს გერმანიისა და სსრ კავშირის მოლაპარაკება მათ შორის ახალი, უფრო მკიდრო შეთანხმების დადების შესახებ; 2) სსრ კავშირმა ვითომც უარჰყო ეს პრეტენზიები, რის გამო გერმანიამ იწყო თავისი ჯარების თავმოყრა სსრ კავშირის საზღვართან სსრ კავშირზე თავდასხმის მიზნით; 3) საბჭოთა კავშირმა, თავის მხრივ, ვითომც იწყო გაძლიერებით მზადება გერმანიასთან ომისათვის და თავს უყრის ჯარებს გერმანიის საზღვრებთან.

ამ ხმების აშკარა უაზრობის მიუხედავად, მოსკოვის პასუხისმგებელმა წრეებმა მაინც, ამ ხმების დაკინებით გაერკვევნის გამო, საჭიროდ მიიჩნიეს დაევალებინათ საკდისისათვის განაცხადოს, რომ ეს ხმები ტლანქად შეთითხნილი ტრაბაგანდად სსრ კავშირისა და გერმანიისადმი მტრულად განწყობილი ძალებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან ომის შემდგომი გაფაჩთოებითა და გაჩაღებით.

საკდისი აცხადებს, რომ: 1) გერმანიას სსრ კავშირისათვის არავითარი პრეტენზიები არ წაუყენებია და არ იძლევა წინააღდეგობას რაიმე ახალი, უფრო მჯიდრო შეთანხმების შესახებ, რის გამო ამ საგანზე ლაპარაკი ადგილი არ ყოფილა; 2) სსრ კავშირის ცნობებით, გერმანია ისევე განუხრელად პატივს ცემს 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულებას, 3) სსრ კავშირი, როგორც ეს მისი სამშვიდობო პოლიტიკიდან გამომდინარეობს, ასრულებდა და განუხრაგად აქვს აღებული ვალდებულებანი საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტის პირობები, რის გამო ხმები, რომ სსრ კავშირი გერმანიასთან ომისათვის ემზადებიო, ყალბი და პროვოკაციულია; 4) წითელი არმიის სათადარიგოთა სწავლებას და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შემოწმებას, რაც. როგორც ცნობილია, ყოველ წელიწადს ხორციელდება, რის გამო წითელი არმიის ან ლონისძიებათა გარშემოსაბმელად მტრულ ლონისძიებებად დასახვა, მეტი რომ არა ვთქვათ, უაზროა.

კრიპსი ლონდონს ჩავიდა

ლონდონი, 13 ივნისი (საკდისი). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ ინგლისის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი კრიპსი ლონდონს ჩავიდოდა, ანგარიშგებას ინგლისის ხალხისადმი. ამ ხმების მიხედვით: 1) გერმანიამ ვითომ მოთხოვა სსრ კავშირს ტერიტორიული და ეკონომიური ხასიათის პრეტენზიები და ამჟამად მიმდინარეობს გერმანიისა და სსრ კავშირის მოლაპარაკება მათ შორის ახალი, უფრო მჯიდრო შეთანხმების დადების შესახებ; 2) სსრ კავშირმა ვითომც უარჰყო ეს პრეტენზიები, რის გამო გერმანიამ იწყო თავისი ჯარების თავმოყრა სსრ კავშირის საზღვართან სსრ კავშირზე თავდასხმის მიზნით; 3) საბჭოთა კავშირმა, თავის მხრივ, ვითომც იწყო გაძლიერებით მზადება გერმანიასთან ომისათვის და თავს უყრის ჯარებს გერმანიის საზღვრებთან.

ამ ხმების აშკარა უაზრობის მიუხედავად, მოსკოვის პასუხისმგებელმა წრეებმა მაინც, ამ ხმების დაკინებით გაერკვევნის გამო, საჭიროდ მიიჩნიეს დავალებინათ საკდისისათვის განაცხადოს, რომ ეს ხმები ტლანქად შეთითხნილი ტრაბაგანდად სსრ კავშირისა და გერმანიისადმი მტრულად განწყობილი ძალებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან ომის შემდგომი გაფაჩთოებითა და გაჩაღებით.

საკდისი ამბობს, რომ: 1) გერმანიას სსრ კავშირისათვის არავითარი პრეტენზიები არ წაუყენებია და ამ ლონისძიებათა გარშემოსაბმელად მტრულ ლონისძიებებად დასახვა, მეტი რომ არა ვთქვათ, უაზროა.

ინგლის-გერმანიის ომი

ბერლინი, 12 ივნისი (საკდისი). უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძინა მტრის საკავშირო გემები 22.700 ტონა საერთო წყალწყვეთა. გუშინ დღისით და 11 ივნისს ღამით გერმანიის ავიაციამ აიერიმი მიეტანა სამხედრო ოვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტებზე სამხრეთ და ცენტრალურ ინგლისში, აგრეთვე შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ნაგებობათა წინააღმდეგ.

მტრის ავიაციის ცდა შემოერიღაო ოკუპირებულ რაიონში თავის დროზე იქნა მოგერიებული ლამაზზე. ჩამოგდებულია მტრის 5 თვითმფრინავი.

11 ივნისს ღამით მტრმა ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიის რამდენიმე პუნქტში ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები ჩამოჰყარა. კელნსა, დეისბურგსა და ბოხუმში დანგრეულია ბევრი სახლი. სამრეწველო და სარკინიგზო ნაგებობები უმნიშვნელოდ დაზიანდენ. ტყვეებს შორის არიან გენერლები ეარი და პიანჭენტინი, აგრეთვე კაპიტანი კოლა.

ამბისნიაში პარტიზანულმა რაზმებმა დაიკავეს ქალაქი ლეკენტრ (270 კილომეტრზე ადის-ბებეის დასავლეთით). ჯიმის რაიონში ინგლისის ჯარი განაგრძობს წინსვლას. ლიბიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. ერაყში სიწყნარეა.

ლონდონი, 12 ივნისი (საკდისი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს მერჯაიუნი (სირია).

საუჩანგეთის ხომაღლიანი გაეგმაკონენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ

ნიუ-იორკი, 12 ივნისი (საკდისი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გადმოგვცემს, ოფიციალური ცნობებით, სფერანგეთის ფლოტის შენაერთები ტულონიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ გაემართნენ.

იაპონელთა ევაკუაცია კოლანდიის ინდოეთიდან

ტოკიო, 12 ივნისი (საკდისი). 57 იაპონელი რეზიდენტი. დღეს გემით „ნიტერან-მარუ“ მიემგზავრება 47 ქალი და ბავშვი. გემებზე „ნისინო-მარუ“, „კიტანო-მარუ“ და „ხარუნა-მარუ“, რომლებიც უახლოეს დროში მიდიან, ყველა ადგილი დაკავებულია.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის საჰაერო ბრძოლა

ბერლინი, 13 ივნისი (საკდისი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის აეროპლანებმა ზეშთა ბეთრეს ბეთრეს ინგლისის ოფლიმარეებზე ბომბები ჩამოაყარეს. ოფლიმარეებზე ყუმბარა ჩამოაყარა. კელნსა, დეისბურგსა და ბოხუმში დანგრეულია ბევრი სახლი. სამრეწველო და სარკინიგზო ნაგებობები უმნიშვნელოდ დაზიანდენ. ჩამოგდებულია მტრის 10 თვითმფრინავი.

ლონდონი, 12 ივნისი (საკდისი). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ 11 ივნისს ღამით იბერლინის ავიაცია თავს დაესხა რურს. ბომბარდირებეს. თავგანი ობიექტები იყო დუისბურგი და დიუსელდორფი. ორივე ქალაქში ხანძარი გაჩნდა. დაზიანებულია სარეკვლო ინგლისის ფლოტის ერთეული. ინგლისის ფლოტის ბომბდამშენებმა ბერლინი ბომბებს ესროლეს. ბომბებმა ბერლინში ბევრი ადგილი ცეცხლში ჩააგეს. ინგლისელ ოფლიმარეებმა ბომბები ჩამოაყარეს ბერლინის ბევრ ადგილებზე. ბომბებმა ბევრ ადგილებზე ცეცხლი

პარტიული ცხოვრება

სკკ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

სოხუმი, 13 ივნისი. საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა განიხილა ოლქის 420 პირველადი პარტორგანიზაციაში ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგები. საოლქო კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ სკკ. კ. პ. (ბ) რაიკომებმა; სოხუმის საქალაქო კომიტეტმა და პარტორგანიზაციებმა უზრუნველყონ რეალიზაცია კომუნისტთა იმ წინადადებებისა, რომელნიც საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოსთქვეს.

საოლქო კომიტეტმა აღნიშნა, რომ კრებები ჩატარდა ორგანიზებულად, კომუნისტთა მაღალი აქტივობით. საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 3.004 კომუნისტი. კამათში გამოსულნი, აკრიტიკებდნენ რა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებებს, მთავარ ყურადღებას აქცევდნენ სკკ. კ. პ. (ბ) XVIII კონგრესისა და XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

ინგარიშგებისა და არჩევნების პროცესში აღმოჩნდა პარტიული მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სუსტადაა გაშლილი ბრძოლა XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის. ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ ისწავლა ღრმად ჩაუკვირდეს საწარმოების მუშაობას, ბრძოლოს ეროვნეკისათვის, წარმოების კულტურისათვის.

სოოლქო კომიტეტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლადაა მუშაობა პარტიაში ახლადმიღებულთა ბოლშევიკურად აღზრდის დარგში. წელს 1 ივნისამდე ოლქში ითვლება 1.340 სტაჟგადაცილებული პარტწევრობის კანდიდატი.

პარტბიუროს და პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებად პირველად არის არჩეული 157 კაცი. ამასთან დაკავშირებით, საოლქო კომიტეტმა სკკ. კ. პ. (ბ) რაიკომებისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის წინაშე დააყენა ამოცანა — ყოველდღიური დახმარება გავუწიოთ ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე ახლადწამოყენებულ კადრებს.

რაიონებსა და ქ. სოხუმში ივნისის განმავლობაში გათვალისწინებულია პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებისა და მათი მოადგილეების სემინარი საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის ძირითად საკითხებზე.

რაიკომებისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივნები წაიკითხავენ ლექციებს თემებზე: „პარტიული ორგანიზაციების ამოცანა პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საქმეში“, „პარტორგანიზაციების მიერ კონტროლის უფლების განხორციელება საწარმოთა ადმინისტრაციის საქმიანობაზე“, „პარტიული მეურნეობისა და კომუნისტთა ალრიცხვის პრაქტიკის შესახებ“, „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ და სხვ.

პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებისა და მათი მოადგილეების პოლიტიკური და კულტურული მომზადების დონის ამაღლებისათვის სოხუმის საქალაქო და რაიონულ პარტკაბინეტებში წაკითხულ იქნება ლექციათა ციკლი წარმოების ეკონომიკისა და ტექნიკის საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობაზე. (საქ-ფინი).

თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებული „სკკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრის მეცადინეობა რაიკომის პროპაგანდისტის ამხ. ვ. ტუღუშის ხელმძღვანელობით.

ფოტო რ. აკოფოვისა.

პარტიული ორგანიზაცია და ახალი ტექნიკის ათვისება

(თბილისის კიროვის სახელ. ლოგის დაზგათმშენებელი ქარხანა)

ქარხანაში, თვალსაჩინო ადგილებზე ნახავთ რეკლამას — „პრემიები ახალი დაზგების ათვისებისათვის 1941 წელს“. იგი მოგვითხრობს, რომ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ 1941 წელს უნდა გამოუშვას 12 ახალი ტიპის დაზგა. ქარხანამ წელს პირველად უნდა მისცეს საშობლოს ახალი ტიპის, ზუსტი და მძლავრი მილმჭრელი, მილრხახვაჭრელი, სახარატო, ჭიროს შიგგამოხარატებელი და სხვ. დაზგები. თვითეული დაზგის ათვისებისათვის დაწესებულია ვრცენა 10 ათასიდან 30 ათას მანეთამდე, ამათ, ვინც 1941 წელს თავს გამოიჩენს ახალი დაზგების ათვისებისათვის, მიეცემათ ცალკე 375.000 მანეთის რაოდენობით.

კიროველი დაზგათმშენებლები მართლაც თავდადებულად მუშაობენ, რათა სოციალიზმის ქვეყნის ინდუსტრიას მისცენ უახლესი ტექნიკის მიხედვით აგებული დაზგები.

ვინ არიან ისინი, ვინც ახალი კონსტრუქციის დაზგებს აგებაზე მუშაობს, ვინც ცდილობს ღირსეულად დაიცვას თბილისელ დაზგათმშენებელთა მარკა? ესენი არიან ინჟინერ-კონსტრუქტორები კომუნისტი ამხ. მოსაშვილი და პეტროვი, რომლებიც გულმოდგინედ, ზუსტად, ბეჯითად ადგენენ ტრადიციულ დაზგების ნახაზებს.

ესენი არიან ოსტატები ამხ. ალ. კახიელაკი, ი. ხუხია, ორდენოსანი ვ. შაუთიძე, ქაშაშვილი, აესაჯანაშვილი. ესენი არიან მოწინავე კომუნისტი ზენინკლები ამხ. ნ. დოლმაზოვი, ს. იაგუდოვი, შ. ცაგარეიშვილი, არ. ბენდიაშვილი და კომკავშირელი, ახალგაზრდა ზენინკალი ამხ. ვ. კოჩარენკოვი. ეს უკანასკნელი სულ 17 წლის არის, მაგრამ შესანიშნავად დაუფლებია საზენინლო საქმეს და დაზგის ნაწილების დამზადებაში ბევრ ძველ, ავადაფიციერ ზენინკალს არ ჩამოუვარდება.

ახალი კონსტრუქციის დაზგა რომ დაამზადოდ, ამისათვის რამდენიმე თვით აღრე უნდა გქონდეს ნახაზები. ამის საფუძველზე უნდა შესდგეს ტექნოლოგია, დამზადდეს მოდელები, სხმული, ნაწილები. მოკლედ: ნახაზებიდან დ, მაშასადამე, კონსტრუქტორთა ბიუროდან იწყება დაზგის აგების პროცესი.

მაგრამ ქარხნის კონსტრუქტორთა ბიუროო ვერ ასწრებდა ნახაზების დროულად შედგენას, ამის გამო საწარმოო გაგაოფილება ვერ უზრუნველყოფდა ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებას, ამას თავის მხრივ მოსდევდა სამოდელო საამქროს მუშაობის შეფერხება, ნაწილების დაუმზადებლობა და საბოლოო ანგარიშთან დაზგის აგების შეფერხება-დაგვიანება.

ახლად არჩეულმა პარტიულმა ბიუროომ ეს გაითვალისწინა და სწორედ ამით დაიწყო. კონსტრუქტორთა ბიუროს მუშაობის შესწავლა დაეკალა კომუნისტებს — ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს, ინჟ. მდივანს, ტექნიკური განყოფილების უფროსს მოადგილეს, ინჟ. კიზივაძეს და სხვ. საკითხი დაწერილებით შეისწავლეს და პარტიული ბიუროს სხდომაზე დააყენეს. აღინიშნა, რომ კონსტრუქტორთა ბიუროს (უფროსი — ამხ. კულიკოვი) მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს, იგი ვერ ასწრებს ნახაზების შედგენას, ხოლო ზოგჯერ ნახაზებში სერიოზული შეცდომებიც არის. პარტიულმა ბიუროომ კონსტრუქტორთა ბიუროს მუშაობის გარდაქმნის კონკრეტული ღონისძიებანი დასახა, და უნდა ითქვას, რომ ამას დადებითი შედეგი მოჰყვა. შედარებით გაუმჯობესდა კონსტრუქტორთა ბიუროს მუშაობა, დაჩქარდა ნახაზების შედგენა და ამავე დროს ნახაზები უფრო ზუსტად და უშეცდომოდ სდგება.

ახალი ტიპის დაზგების ათვისება დიდად არის დამოკიდებული სამოდელო საამქროს ნორმალურ, წესიერ მუშაობაზე, მაგრამ ქარხანაში ეს საამქრო ერთერთი ვიწრო ადგილია. იმის გამო, რომ კვალიფიციური მეშვი არა ჰყავთ, დაზგის ნაწილების ჩამოსხმა გვიანდება. ამიტომ იყო, რომ პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელობამ ქარხანაში მოაწყო კურსები, სადაც ინჟინერ-კონსტრუქტორ ამხ. პეტროვის ხელმძღვანელობით 12 ახალგაზრდა სწავლობს სამოდელო საქმეს. პარტბიუროო ამითაც არ კმაყოფილდება. მას განზრახული აქვს გულდასმით შეისწავლოს სამოდელო საამქროს მუშაობის ნაკლოვანებანი და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ბადეს ადეზრიდნენ.

ახალი ტექნიკის ათვისების კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობენ საამქროთა პარტორგანიზაციებიც. № 9184 ტიპის დაზგის ნაწილების ზედაპირი სწორი, ზუსტი და სიმტკიცე

ᲡᲐᲣᲠᲐᲜᲒᲘᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲒᲝᲠᲘᲡᲯᲘ, 11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). როგორც ჰავასის-ოფის საინფორმაციოს ეუწყება, დღეს, დილით, საფრანგეთის ელჩმა ესპანეთში პიეტრომ ინგლისის ელჩს ესპანეთში გადასცა საფრანგეთის მთავრობის ახალი საპროტესტო ნოტა. ეს, დასძენს საინფორმაციო სააგენტო, მეორე დემარშია, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გააკეთა სირიაში ინგლისის საომარი მოქმედების გამო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲡᲔᲑᲣᲚ ᲨᲕᲯᲔᲑᲔᲑᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საზღვაო კომისიამ განკარგულება მისცა სანაოსნო კომპანიის „საუთერნ პასიფიკ კომპანის“ გადასცეს თავისი 10 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი „ნაციონალური თავდაცვის საჭიროებისათვის“. ეს ბრძანება გაცემულია რუზველტის ლონისძიებებთან დაკავშირებით ინგლისის დასახმარებლად გემების მობილიზაციის დარგში.

ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲚᲘᲜᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). იუნაიტედ პრესის საგანგებოს ცნობით, სამხედრო სამინისტრომ თავისი ფონდებიდან 288 მილიონი დოლარი გამოჰყო ოთხი ახალი სამხედრო ქარხნის მშენებლობისა და ათი არსებული ქარხნის გაფართოებისათვის. თვითეული ქარხნის მშენებლობის ღირებულება 30 მილიონ დოლარს შეადგენს.

ᲛᲝᲡᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲨᲘ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). შვედური გაზეთები აქვეყნებენ ეკონომიური სტატისტიკური სამმართველოს პირველ ოფიციალურ ცნობას ნათესების მდგომარეობის შესახებ მთელს შვედეთში.

ცნობაში ნათქვამია, რომ მოსავლის პერსპექტივები მთელს სახელმწიფოში საშოალოდ შეიძლება შეფასებულ იქნას საშემოდგომო ხორბლის მიმართ ბალთა 1,7, საგაზაფხულო ხორბლის მიმართ — 2,7 — საშოალოზე რამდენადმე დაბალი, ხოლო ბალახის ნათესების მიმართ — 2,2 — საშუალოზე საგრძნობლად დაბალი. ცნობების მიხედვით, შემდეგ ოქტომბერში ხორბლის ნათესები თითქმის სრულიად დაიღუპა: ჰალანდიაში—0,2, სკარამბორგში — 0,6, ელზსბორგში — 0,8, ესტერგოტლანდში — 0,9, ბელგიკაში — 1.

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲗᲘ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ᲕᲘᲨᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). „ესპანური გაზეთი „არიბა“ ეუწყება, რომ ესპანეთის ხელისუფლება აშკარად იხილავს საკითხს სოფლად სასწრაფოთა ბრალთების შემოღების შესახებ. გაზეთის სიტყვით, „ესპანეთის სოფლებში გლეხები პირდაპირ შიმშილით იხოცებიან“. სპეციალურ წერილში, რომელიც ეხება ესპანეთში კაცზე პურის ულუფის 40 გრამამდე შემცირების მიზეზებს, გაზეთი იუწყება, რომ ამის მთავარი მიზეზია საზღვაო გზით ესპანეთში მარცვლეულის შეზიდვის შეწყვეტა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲘ

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოაჩინეს ახალი მინერალი, რომელიც შეიცავს ალუმინს. ეს მინერალი იპოვნეს შვრალ უდაბნოდგელას (ჩილი) და უწოდეს კადეალდერიტი. იგი შეიცავს ქლორალად ალუმინს, რომელიც ისე, როგორც ქლორიდთა უმეტესობა, ადვილად იხსნება წყალში და სწრაფად იშლება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით.

12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ).

ნავთის რეზერვუარი კირკუკის სარეწაოებზე (ერაყი).
რეპროდუქცია „სე ეფრიდან“.

ᲑᲔᲕᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, შრომისა და ნაციონალური ბეჭდის მინისტრმა ბევინმა განაცხადა, რომ სამინისტრო იწყებს 100 ათასი მოხალისე მშენებლის გაწვევას მთავრობის საშენებლო პროგრამის რეალიზაციოდ. ეს მუშები გაიგზავნენიან ინგლისის ყოველ რაიონში, სადაც მიმდინარეობს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე საშენებლო სამუშაო. ბევინის სიტყვით, მთავრობის საშენებლო პროგრამის რეალიზაციისთვის ყოველდღიურად იხარჯება 1.000.000-მდე გირვანქა სტერლინგი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). ახლო მომავალში ინგლისში შემოღებულ იქნება ქიანაჰშირის, ელექტროენერგიისა და გაზის მოხმარების ნორმირება. აღსაღნიშნავია, შეჰქმნილ საობობის ახალ სამინისტროს, რომელიც კონტროლს გაუწევს ყველა სახის საობობის განაწილებას და მოხმარებას.

ინგლისის სასურსათო მომარაგების სამინისტროს განზრახული აქვს უახლოეს მომავალში შემოიღოს კონტროლი კვერცხის განაწილებაზე ინგლისში. როგორც გაზეთი „დეილი ჰერალდი“ იუწყება, სამინისტროს განზრახული აქვს ეგრეთვე შეზღუდოს რძის მოხმარება სულ ცოტა 20 პროცენტით.

ᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲒᲔᲑᲘᲡᲨᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). რუმინეთის პრესა იუწყება, რომ გადადგა ვასილ დიმიტრიეუი, რომელსაც დღემდე ეკავა ნაციონალური ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული რუმინეთის მთავრობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა; ეს კომისია მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიასთან ეკონომიურ საკითხებზე.

გარდა ამისა, გადადგნენ აგრეთვე ემილ მარიანი, არტურ გორსკი და ტრაიან ნიკესკუ — ნაციონალური ეკონომიკის სამინისტროს გენერალური მდივნები.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲜᲝᲠᲒ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲜ ᲐᲕᲘᲝᲜᲘᲡ“ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲣᲪᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). იუნაიტედ პრესის საგანგებოს ცნობით, სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ კომპანია „ნორტ ამერიკენ ავიაშენს“ საავიაციო ქარხნის თითქმის ყველა გაფიცულმა მუშამ განაახლა მუშაობა. ქარხნის მცველებმა სამუშაოზე არ დაუშვეს საკაფიცო კომიტეტის 7 წევრი. გაფიცვის ხელმძღვანელებმა იმის შემდეგ გადასწყვიტეს დიამთავარებინათ გაფიცვა, რაც ჯარმა პიკეტები გარეკა ქარხნის ეზოკართან.

სახლეთ მინისტრმა ნოქსმა საავიაციო ქარხნების მფლობელთა ჯგუფს განუცხადა, კომპანია „ნორტ ამერიკენ ავიაშენს“ ქარხანაში მომზადარი გაფიცვა საფრთხეს უქმნიდა თავდაცვის პროგრამის განხორციელებასაო.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲒᲔᲑᲘ ᲗᲣᲠᲙᲔᲗᲨᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ). გაზეთ „სონ პოსტას“ ცნობით, მეღლის რაიონში მიწისძვრის შედეგად, რომელიც 15 დღეს გაგრძელდა, დანგრეული და დაზიანებულია 1.500-ზე მეტი სახლი. გარდა ამისა, მოკლულია 3 კაცი და დაჭრილია 8. მიწისძვრის რაიონში მოსახლეობა კარვებში ცხოვრობს.

ᲣᲑᲔᲠᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

⊙ ლისაბონიდან აზორის კუნძულებისაკენ გაემართა გემი „ლიმა“, რომელსაც მოაყვეს ინვინრები და მიაჭეს სათბრი მასალა. გასული კვირის ლისაბონიდან აზორის კუნძულებისაკენ გაეცალა გემი, რომელსაც ჯარი მიაყვეს.

⊙ 6 ივნისს, ღამით, ოჯრობმა თეთა-მორნავმა ყუმბარები ჩამოაგდო ესტეპონაში (ესპანეთი), 30 მილზე გიბრალტარის ალმოსავლეთით.

⊙ აფსტრალიამ ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუკვეთა დიდძალი მსუბუქი ტანკი, ამ ტანკების მიწოდება უახლოეს დროში დაიწყება. აფსტრალიაში იზრდება აგრეთვე ტანკების საკუთარი წარმოება.

⊙ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური თავდაცვის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ კონტროლი გაუწიონ ალუმინის ჯართისა და თუთიის გამოყენებას, რათა უზრუნველყონ სამხედრო მრეწველობის საჭიროებათა დაკმაყოფილება.

⊙ ეირის პრემიერ-მინისტრმა დე-ვალერამ მოიწონა ამერიკის, ტრანსატლანტური სასაერო სამგზაური ხაზის ბოლო პუნქტის დაწესება ეირეში.

მაისში ამერიკის საწარმოებმა მიაწოდეს 1.334 სამხედრო თვითმფრინავი, ხოლო აპრილში 1.389.

⊙ 9 ივნისს ბუქარესტის სამხედრო საველე სასამართლომ განიხილა მეამბოხე ლეგიონერთა ახალი ჯგუფის საქმე. 23 კაცს მიესაჯა სიკვდილამდე ვადით პატიმრობა. მათგან ერთს მიესაჯა 10 წლის კატორღა, ერთს—6 წლის კატორღა და სამ კაცს—5 წლის კატორღა.

⊙ რუზველტს წარმომადგენელი ლონდონში პარიმანი ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა, რათა ჩაინახოს ამერიკის საჭიროებანი, რომელიც იქ მოდის. ჰარიმანს ახლავან მისი თანაშემწენი — ვეფერალი როსი და პოლკოვნიკი გრინი.

⊙ ამ ცოტა ხნის წინათ გიბრალტარში ავადმყოფ მიწოსქვეშა თავშესაფრიდან ორის საწოლი ოთახები, სასაღილოები და ელეკტროფიცარებელი საბზარეულოები.

⊙ ოფიციალური ცნობებით, წელს საფრანგეთში შობადობა უალრესად შემცირდა. მაგალითად, პარიზში შობადობა იანვარში 50 პროცენტით შემცირდა, თებერვალში—40 პროცენტით წინა წლების ამავე თვეებთან შედარებით. ამავე დროს მატებოდა სიკვდილიანობა, განსაკუთრებით დიდ ცენტრებში.

⊙ საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აკრძალეს ძაღის, ბროველის, ტანსამოსის, საგალანტერეო საგნების, ტრიკოტაჟის, თეთრეულის, აგრეთვე ქუდისა და ეროვნის გატანა საფრანგეთიდან.

⊙ ამჟამად დანიაში შინაური ფრინველის რაოდენობა ომამდელთან შედარებით მხოლოდ 30 პროცენტს უტოლის.

⊙ ნინეთის მთავრობამ მილიონნახევარი ინერი დოლარი გაიღო განსის პროფანაციოდ საფიეტო მრეწველობის განვითარებისათვის.

12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲯᲔᲠᲝ).

თბილისის სტალინის სახელობის სახე ლმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საწოვნელ ეარაკიშობაზე კომკავშირ ულ-პროფკავმორეული „ეროსისთვეს. ფოტო ლინგისა.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲛᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲪᲮᲐᲪᲘᲡ ᲙᲚᲐᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი შეუდგა დიდი სტალინისადმი მიძღვნილი კანტატის კლავირის გამოცემას. კანტატის ავტორები არიან კომპოზიტორები—სტალინის პრემიის ლაურეატი გრ. კილაძე, ვ. გოკიელი, ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე და ი. ტუსკია.

კანტატა პირველად შესრულებული იქნა თბილისში დიდი სტალინის დაბადების 60 წლისთავზე.

კლავირი მდიდრულად იქნება გაფორმებული. (საქმენი).

Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲔᲚᲐ „Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ“

18 ივნისს სრულდება 5 წელი დიდი რუსი მწერლისა და მოაზროვნის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის გარდაცვალების დღიდან. საქართველოს კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ამ დღისათვის აწყობს ფართო გამოფენებსა—„ა. მ. გორკის ცხოვრება და შემოქმედება“.

გამოფენაზე ერთიერთ განყოფილებაში შეიკრიბება მასალები, რომლებიც შეიხება მწერლის ბიოგრაფიას, მოგონებებს მის შესახებ, ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებებს და სხვ.

სპეციალური განყოფილება აქვს დათმობილი ლიტერატურას, გორკის შესახებ. ამ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება პროფესორიალის დიდი ბიბლიოგრაფია და ფორშინელიგის მიერ გორკის შემოქმედების შესახებ გამოთქმული აზრი.

შემდგომი განყოფილება მიძღვნილია გორკის, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი, საქართველოში მისი ჩამოსვლისა, მისი შემოქმედების კრიტიკისადმი და სხვ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება გორკის თხზულებანი სსრ კავშირის ხალხთა 70 ენაზე, აგრეთვე თარგმნილი უცხო ენაზე. ცალკე იქნება წარმოდგენილი გორკის ნაწარმოები სსრ კავშირის ხალხთა ამ ენაზე (ყალმუხური, ჩუვაშური, ოსმაურტია და სხვ.), რომელთაც წინათ დაბეჭდილობა არა ქონიათ.

წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ამ დღეებში მიღებული გორკის თხზულებანი. ესტონურ და ლატვიურ ენაზე თარგმნილნი და 1940 და 1941 წლებში გამოცემულნი.

გამოფენა „ა. მ. გორკის ცხოვრება და შემოქმედება“ გაიხსნება 15 ივნისს საღამო ბიბლიოთეკის ფილიალში—სტეპანოწმინდის ახალ ლენინის ქუჩაზე, ორკონიკიძის სახელობის ეროტორიალ და დასვენების პარკში. (საქმენი).

ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡᲒᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

15 ივნისს სოხუმში დაიწყება საქართველოს სოფლეთესო ველოსიპედისტთა შეჯიბრება რესპუბლიკურ პირველობაზე. შეჯიბრების პროგრამაშია ველომარათონი 100 კილომეტრზე და გასამეფლოებელი კრასი 50 კილომეტრზე (ფაეფინათვის). ამავე დისტანციაზე შეჯიბრება ჩატარდება სავზაო ველოსიპედებით. ქალებისათვის ველომარათონის დისტანცია არის 50 და 25 კილომეტრი, ხოლო კრასის—25.

თბილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ორი ნაკრები გუნდი 24 კაცის, შემადგენლობით. გუნდების შემადგენლობაში არიან: გუნია, პეროშოროკა, ბოგდანოვა, ბაბაჯანოვი, შუშაკოკა და სხვ.

შეჯიბრება 4 დღეს გასტანს.

ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲒᲐᲪᲘᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ

09.00 — გაზეთ „ᲙᲐᲛᲐᲯᲘ“ მოწოდება; 09.15 — კონცერტი; 10.00 — წერილები გაზეთებიდან; 11.00 — გადაცემა სკოლამდელთათვის; 11.20 — კონცერტი; 12.00 — თბილისის ახალი ამბები; 12.20 — ლიტერატურული გადაცემა ქართული ენაზე; 13.00 — უკანასკნელი ცნობები; 13.15 — ნაწყვეტები ოპერებიდან; 17.00 — გადაცემათა პროგრამა; 17.10 — კონცერტი; 17.45 — გადაცემა პიონერებისა-მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე („სანაზ წეფლიკე“); 18.15 — სპორტი თემაზე: „კონტროლი გულისხმობს წარმოების ეკონომიკას ცოდნას“; 18.55 — ინფორმაციები; 19.00 — კონცერტი; 19.30 — უკანასკნელი ცნობები; 19.58—დროის შემოწმება; 20.00 — უკანასკნელი ცნობები; 20.30 — მუსიკალური ნაწყვეტები; 21.00 — მომღიერალ ნ. ბოკუჩავას გამოსვლა; 21.15 — სიუპარი თემაზე: „პარტიული პროპაგანდა ლენინურთა რიაოოში“; 21.45 — სიუპარი: „როგორ დაეიცვათ თავი ფუფასურ ავიაფეშმარტებისაგან“; 22.00 — უკანასკნელი ცნობები; 22.35 — საღამოადგომ კონცერტი; 00.15 — საერთაშორისო მოგზაურეა; 00.30 — უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ „ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡᲘᲡ“ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ „ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡᲘᲡ“